"პატარა ილუზიები"

მოქმედი გმირები:

ძმა.

სიძე.

ცოლი.

დედა.

მოქმედება ჩვენს დროში, სტანდარტულ ბინაში ხდება. გმირები მაყურებელთა დარბაზს ისე შეჰყურებენ, როგორც დიდი ტელევიზორის ეკრანს.

სცენაზე დგას: მაგიდა, ოთხი სკამი, სავარძე ლი და ტახტი. სიძე ზის ტახტზე და ცდი ლობს რადიომიმღებით რაიმე გადაცემა დაიჭიროს. მისი მეუღლე დგას მაგიდასთანდა ელოდება დენის მოსვლას, გვერდით თეთრეუ ლით სავსე კალათა უდგას. მეუღლის დედა სავარძელში მოკალათებულა და კროსვორდებს ავსებს.

დედა. (აქცენტით) გამორთე ეგ ოხრობა, ბოლოს და ბოლოს!.. აღარ შემიძლია ამ უაზრო ჯაგა-ჯუგების მოსმენა!

სიძე. (აქცენტით) რას გიშლით ხელს?!

დედა. ყველას ხელს გვიშლის!

სიძე ჭაღს ახედავს.

სიძე. აბა რა ვქნა? დენი არ არის... რაიმე ინფორმაციას ხომ უნდა მოვუსმინო.

სიძე. ალბათ ისევ რაღაცა გაფუჭდა!

დედა. ტვინი გაუფუჭდათ მაგათ!... ტვინი!

სიძე. თქვენ, როგორც ყოველთვის ძალიან კატეგორიული ბრძანდებით!

დედა. ვიქნები თქვენს ხელში კატეგორიული აბა რა!.. ღმერთო ჩემო ვფიქრობდი ტკბილი სიბერე მექნება მეთქი... და... ეეჰ! ყველაფერი უკუღმა შემომიბრუნდა!

სიძე. რა გიგავთ ბებერს! თქვენნაირ ქალზე რუსები იტყვიან – „ჟენშჩინა, ვსამომ საკუო!“ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ქალი თავის წვენში! გაფურჩქნული ქალი!

დედა. (ქალიშვილს) რა უნდა ამას ჩემგან?

სიძე. არაფერი, თანაგრძნობისა და სიყვარულის გარდა!

დედა. შენს ცოლს მიხედე ისა სჯობს! „ტოჟე მნე მუჟჩინა ტაიფუნ!“

სიძე. იცით რაშია საქმე...

ცოლი. (აწყვეტინებს) დედა მორჩი! (ქმარს) შენც მორჩი!... ბოლოს და ბოლოს რით ვეღარ უნდა შეეგუოთ ერთმანეთს!

სიძე. რა შეგუებაზეა ლაპარაკი?... რაში მჭირდება "ამასთან"; რაიმეზე შეგუება! თვითონ შემეგუოს თუ კარგია!

ცოლი. "ამასთან"! "იმასთან"! ეს ადამიანი დედაჩემია, და კეთილი ინებე, როგორც მე ვცემ პატივს შენებს, ისე ეცი შენ ჩემებს, პატივი!

დედა. კულტურა!?... კულტურის დეფიციტი იწვევს ასეთ უგემოვნებო კონფლიქტებს!

სიძე. (ყვირის) კულტურა-მულტურა არ ვიცი მე! გამაგებინეთ ერთი, თქვენთან ჩხუბს რად უნდა გემოვნება!... საერთოდ ჩხუბს რა ჩემ... ასე ვთქვათ, ქვედა კიდურებად უნდა გემოვნება?...

დედა. ხმაც ჰქონია! "დრამატიჩესკი ტენორ"!

სიძე. თუ შეიძლება ნუ ყვირით!

სიძე. არავისგან არაფერი არ მინდა... უბრალოდ გამიჩნდა ასეთი სურვილი, ამ უშუქობის დროს, მოვუსმინო ინფორმაციას!... განვიცდი ინფორმაციულ შიმშილს! მაქვს

უფლება თუ არა დავიკმაყოფილო ჩემი თავი ამ ინფორმაციის ათვისებით თუ არა?... ბოლოს და ბოლოს?!

დედა. შენც ერთთავად ტვინი არ მიგემატოს!

ცოლი. დედა!

სიძე. ღმერთო ხომ ხედავ ყველაფერს! ერთი არ მოგითხოვია ამ მანდილოსნისათვის პასუხი ყველაფერზე, მერე ვნახოთ! ღმერთო, დედას გაფიცებ, ნუ დამაკარგინებ შენზე შეხედულებას! კაცი თუ ხარ, კაცურად გამიგე!

დედა. „რელიგიოზნი ფანატიკ!“

ცოლი. დედა!

სიძე. ნეტარ არიან ტანჯულნი სიდედრებისაგან, რამეთუ ვრეკავ ახლა ამ რადიოს ვიღაცას „ბაშკაში"!

ცოლი. გაჩუმდით სუყველა! გაჩუმდით!

დედა. „პადლეცი“ ხარ მაგ სიტყვების შემდეგ!

ცოლი. დედა!... (სიძეს) შენც გაჩერდი, თორემ გადავხტები ფანჯრიდან!

დედა. აქამდე რატომ არ გადახტი ამის ხელში!?

სიძე. მართლა რატომ არ გადახტი ამის ხელში, რატომ?... მეც მშვიდად ვიქნებოდი და ეს... მაიმახიც! ეს... ისა!?

დედა. უკულტურო! უტაქტო! უზრდელო! ნაძირალავ!

სიძე. ღმერთო მომეცი ძალა, გავუძლო ამ ცთუნებას! მომეცი ძალა, რომ არ ვხეთქო ეს რადიომიმღები რატომღაც!... ვიღაცას!... რაღაცაში!

ცოლი. ფანჯრიდან გადავხტები!.. გადავხტები!

ცოლი მირბის ფანჯარასთან. მას არავინ არ აჩერებს.

დედა. ხედავ შვილო, სადამდე მიგიყვანა ამ ცხოველმა?... სადამდე?!

სიძე. (დედას) ბარემ უჯიკეთ ხელი და მე დამაბრალეთ!... დედა ხარ შენ ამის მერე?!

დედა. ხედავთ, ხალხნო, ეს ზედაპირული პიროვნება, როგორ შემოგვიძვრა ოჯახში! როგორ?!

ცოლი. აღარ შემიძლია მეტი!... გადავხტები ფანჯრიდან!... მართლა გადავხტები!

ცოლი ფანჯარას აღებს.

დედა. ამ ვიგინდარას გულისათვის იკლავ თავს, შვილო?!.. ცოდვა არა ხარ!

სიძე. თუ ასეა მაშინ... გადახტი! ჩქარა გადახტი, სანამ გადამიფიქრებია!

ისმის ზარის ხმა. სამივე ჩუმდება. ცოლი თავის წესრიგში მოიყვანს. დედა ჯდება კროს-ვორდების ამოსახსნელად. სიძე უბრუნდება თავის რადიომიმღებს. ცოლი მიდის კარის გასაღებად.

დედა. ისე მოვიდა დენი, ვერც კი შევამჩნიე!

სიძე. (დამცინავად) რა სასწაული მომხდარა!

დედა გულდაწყვეტილი თავს აქნევს. შემოდის ძმა, ცელოფნის პაკეტით ხელში, მას უკან მოჰვება ცოლი.

ძმა. საშინლად დავიღალე!... თითქოს ისეთს არაფერს აკეთებ, მაგრამ იღლები!... ფიქრობ! ფიქრობ!... ფიქრი საშინელი რამეა, მე მგონი რობოტებს ფიქრი რომ შეეძლოთ, ისინიც ადამიანებივით დაიღლებოდნენ!...

ძმა სკამზე ჯდება.

ძმა. მოვა თუ არა წვიმა, ქალაქი ტალახის დიდ გუბედ იქცევა!... ნაგავი, ტალახი!... ნაგავი, ხალხი!

ცოლი. ჩქარა გაიხადე ეგ ფეხსაცმელები!... მომეცი! (ფეხსაცმელს ართმევს) ნუ რა

არის ეს, რა!... ღორივით ხტუნაობ ამ ტალახებში... თითქოს სპეციალურად ეძებ!

გადის.

ძმა. რამ უკბინა?

სიძე მხრებს იჩეჩს. შემოდის ცოლი ფლოსტებით ხელში.

სიძე. აჰა ჩაიცვი!... მთელი დღეა სახლს ვალაგებ! გავწყდი წელში იმდენი ვხვეტე!... ვინმე მეხმარებოდეს მაინც!

ძმა. ჩაგერთო მერე მტვერსასრუტი, გუშინ არ გავაკეთეთ!

სიძე. რაზე შემეერთებინა?... დენი დილიდან რომ წავიდა, ეს წუთია მოვიდა!

ძმა. ჰო, სულ დამავიწყდა, რაღაც ავარიაზე ლაპარაკობდნენ მეტროში!... მთლად ყველაფერი ვერ გავიგონე, შეკითხვაც მომერიდა! (სიძეს) შენ ხომ არ მოგისმენია, რადიოში?

სიძე. ვინ მოგასმენინა!

ძმა. რა, კიდევ იჩხუბეთ? (ცოლს) კიდევ იჩხუბეს?

ცოლი ზურგს შეაქცევს და იწყებს კალათიდან გარეცხილი თეთრეულის ამოლაგებას. შემდეგ შლის საუთოო მაგიდას და რთავს უთოს.

ძმა. სირცხვილია, ხალხო! მთელი მეზობლები ჩვენ გვისმენენ!... ხომ შეიძლება ერთი დღე მაინც არ იჩხუბოთ!... ან ხმადაბლა იჩხუბეთ! ყურში არც ერთს გაკლიათ, არც მეორეს და არც მესამეს! ყველაფრის ხმადაბლა თქმა არ შეიძლება?! ხომ შეიძლება?!... რა გსიამოვნებას გრძნობთ, მეზობლებს ჩვენი ჩხუბის სერიალებს რომ ასმენინებთ!... ნუთუ არ შეგვიძლია ყაყანის გარეშე ცხოვრება?!

სიძე. შეგვიძლია!

ძმა. დედა, ხომ შეგვიძლია?

დედა. რა დრო დამიდგა!... შვილები მარიგებენ ჭკუას და თან ვისი თანდასწრებით? ღმერთო ჩემო!... ვისი თანდასწრებით?!

ძმა. დედა, არავინ არ გაყენებს შეურაცხყოფას!... ძალით იშლი ნერვებს! საკუთარ თავს ძალით აყენებ ტკივილს, გამაგებინე რისი გულისათვის?

დედა. არაფერი არ მინდა თქვენგან! დამაბრუნეთ ჩემს სოფელში!... მარტო ვიქნები იქ, მაგრამ... მომენატრებით მაინც!

ძმა. კარგი რა დედა! რა დაგრჩენია იმ სოფელში?

დედა. წარსული! რომელშიც ყველას ვუყვარდი და ყველა მიყვარდა!

ძმა. დედა, ჩვენ არ გვჭირდება შენი მსხვერპლი!... ჩვენ შენ გვჭირდები!... თუ ესე ძალიან გინდა, წაგიყვან ბატონო! წაგიყვან, აბა რას ვიზამ!

დედა. წამიყვანე! წამიყვანე და... იყავით აქ უჩემოდ!... მარტო!

გაბრაზებული გადის.

ცოლი. ეეჰ, დედა, დედა!

ყველა ჩუმადაა.

ძმა. ისეთი სიწყნარეა, როგორც... სამოთხეში!... არ გშიათ? (საათს დახედავს) მოგისწრიათ უჩემოდ! (დგება) წავალ შევჭამ!

ცოლი. მოიცა გაგიცხელებ!

ძმა. არ გინდა, დედას გავაცხელებინებ!... მე მგონი ეს იმის ბრალია, რომ ყველაფერს ჩვენ ვუკეთებთ! დაკარგა თავისი ადგილი და ასე ჰგონია ზედმეტია... იქნებ რა ღაცა აკეთოს, თავისით!... სიმბოლურად მაინც, ჰა?... ყველას, პატარ-პატარა ილუ ზიები გვჭირდება ცხოვრებაში, თორემ ისე გაგვიჭირდება ადამიანებად დარჩენა!... პატარ-პატარა ილუზიები!

გადის. გასასვლელთან შეჩერდება.

ძმა. მეტროში ერთი კაცი ყვებოდა, რომ ლოქო დაუჭერია თურმე, ათ კილოგრამიანი!... და მის მუცელში იცით რა უპოვია?!... გაუხსნელი კონსერვის ქილა, რომელსაც ეწერა „ლოქო ტომატით"... სასაცილოა არა?

ძმა იცინის. ცოლი და სიძე მას უყურებენ.

ძმა. მეტროში ძალიან სასაცილო იყო!... ადამიანის გადარევა ადვილია, აი გაცინებაა ძნელი!

ძმა გადის.

ცოლი. რაღაც ვერ არის ხასიათზე! დღეს ოცდაერთია არა?... ფული უნდა აეღო!

სიძე. ჰო დღეს უნდა მიეცათ!... ისე, მე თავიდანვე არ მომეწონენ ის ტიპები!

ცოლი. ღმერთო ჩემო... თუ ისევ ვერ აიღო!?

სიძე. არც არაფერს ამბობს, ვერც ეკითხები! ძმაკაცები არიანო! ფულმა სად იცის ძმაკაცობა!...

ცოლი. ძმებივით იყვნენ! ბავშვობიდან სულ ერთად იზრდებოდნენ!

სიძე. ხანდახან ძმებიც ტყუიან!... რაიმე რომ მომხდარიყო, შენ მაინც ხომ გეტყოდა!... ატეხთ წინასწარ ერთ ამბავს!... (სევდიანად) თუმცა ისეთი რა უნდა მომხდარიყო იმ ქალაქში, სადაც უკვე ყველაფერი მოხდა!

ცოლი. შენთვის ადვილია!... დედა ხომ მთლად გადაირევა! რას გაიხარებ?!

სიძე. რაა? ბოდიში მოიხადე, ბოდიში!

ცოლი. სულ ჩხუბობთ, სულ!... მარტო პირველი კვირა გაუძელით ერთმანეთს და მორჩა... რომ დაიწყეთ აღარ დაამთავრეთ!

სიძე. გაიხსენე ის პირველი კვირა, როგორ ვითმინე! იმას ვუთმენდი და შენ გეჩხუბებოდი! შენ რა შუაში ხარ?... არ მირჩევნია იმას ვეჩხუბო ვიდრე შენ?

ცოლი. მეტის ღირსია ის შენგან! მეტის ღირსი!... მე რომ მომიტაცე, ვინ დაგიდგა გვერდით? ჩემი ძმა მოსაკლავად დაგდევდა და მარტო ამ ქალმა დაგიცვა!... უმადური ხარ!

სიძე. (ჩაფიქრდება)... ეეჰ! შენ თვითონ კარგად იცი, რომ დედაშენი აქ არაფერ შუაშია! ხანდახან საათობით წევხარ ამ ტახტზე და ადგომაც არ გინდა. რადგან, რომ ადგე, მაინც არაფერი გაკეთდება! არც სამუშაო იქნება, არც ფული! პრობლემები მოგემატება და მეტი არაფერი! ნაბიჯი პრობლემა! ნაბიჯი პრობლემა!... ვერ წყვეტ ამ პრობლემებს! არც მაკრატელი შველის, არც დანა!... ლამის არის გაგიჟდე ან მოკვდე ამ უაზრობით!

ცოლი. ქალი ვარ, მაგრამ ის მაინც ვიცი, რომ რაღაცა უნდა ვაკეთო! აუცილებლად უნდა ვაკეთო! მინდა თუ არა, აუცილებლად... სიკვდილით ყველა მოვკვდებით! საშინელება, სიკვდილი კი არაა, არამედ ის, რაც, სიკვდილამდე ხდება!

სიძე ცოლს მიუახლოვდება.

სიძე. გახსოვს ჩვენი ძველი მეზობლები?! ბავშვი რომ აიყვანეს!

ცოლი. ბავშვი სამი წლის წინ არ აიყვანეს?

სიძე. ჰო!... ახლა კიდევ ერთს ელოდებიან!... თავისას!

ცოლი. ორსულადაა?!

სიძე. ჰო!...

ისინი ცოტა ხანს ერთმანეთს უხმოდ უყურებენ.

სიძე. იქნებ ჩვენც ავიყვანოთ?

ცოლი აგრძელებს უთოობას.

ცოლი. შენ, ბავშვის აყვანა კომბოსტოს ჭამა ხომ არ გგონია!

სიძე. მე ვხვდები, ძნელია ამაზე წასვლა, მაგრამ... იქნებ ასე ჯობდეს! რაღაცა ახალი გაჩნდება სახლში... ბოლოს და ბოლოს გავერთობით მაინც!

ცოლი. იმისათვის, რომ ადამიანი მაგაზე დაითანხმო, სათქმელად ცოტა სხვა სიტყვებია საჭირო!

სიძე. სიტყვები, სიტყვები!... ამ ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ტრილიონი სიტყვა მაქვს ნათვამი! მაგრამ უკეთესები მაინც არ გავმხდარვართ!... იცი, რაც მინდა! შეიძლება მთლად ისე ვერ ვამბობ, რომ შენი გულის ყველა კარი გავაღო, მაგრამ... ჩვენ ერთად ვართ თოთხმეტი წელია და უკვე მარტო ცოლი კი არა, ჩემი მეგობარიც, მეუღლეც და საყვარელიც ხარ... უნდა ხვდებოდე რას ვამბობ და რაზე ვფიქრობ! დროა უკვე!

ცოლი. (ნაღვლიანად) მერე პრობლემები!... ასე რომ გეშინია პრობლემების?

სიძე. იქნებ სწორედ ეგ პრობლემა მაკლია, რომ გავინძრე! აღარაფრის რომ არ შემეშინდეს!... რომ რაღაცა გა-ვა-კე-თო!...

ცოლი. კიდევ არის რაღაც,.. უფრო მთავარი!

სიძე. რა!?

ცოლი. მე მინდა ჩემი შვილი!

სიძე. თოთხმეტი წელი ლოდინი! ეს, გაუთავებელი თოთხმეტი წელი! უკვე სხვის ბავშვებსაც ვეღარ ვიტანთ, იმიტომ რო... აღარ არის საკმარისი... აღარ გვეყოფა?

ცოლი. მეყოფა?... ჰო მეყოფა! შენთვის ადვილია, როცა ყველამ იცის, რომ ეს შენი ბრალი არ არის! როცა ყველამ იცის, რომ ამაში მე ვარ დამნაშავე!

სიძე. მე არავისთვის მითქვამს!

ცოლი. მე ვუთხარი! მე!

სიძე. (გაკვირვებული) შენ უთხარი?... რატომ?

ცოლი. იმიტომ რომ მიყვარხარ! იმიტომ რომ მინდა ყველამ იცოდეს, როგორ გიყვარვარ! მიუხედავად ყველაფრისა!... (უცნაურად იღიმება) მოდი დავცილდეთ ერთმანეთს!

სიძე. ხომ არ გააფრინე!

ცოლი. ნორმალური განქორწინება, ძალიან ამყარებს და კრავს ოჯახსო!... ასე თქვა ვიღაცა ქალმა ტელევიზორში!... გავცილდეთ და ერთი-ორი წლის მერე, ისევ დავქორწინდეთ!... (იცინის) მოდი რა, ჩავრთოთ ეს დასაწვავი ტელევიზორი, თორემ ხომ ხედავ რეებს ვლაპარაკობ!

სიძე. დიდი სიამოვნებით! (იცინის)

მიდის ტელევიზორთან. შემოდის დედა.

დედა. ხომ არ დაწყებულა?

ცოლი. არა, ჯერ არა!

დედა. როცა დაიწყება, დამიძახეთ!

ცოლი. კარგი.

დედა გასვლას დააპირებს, მაგრამ მობრუნდება და ხმადაბლა იწყებს ლაპარაკს

დედა. მოკლავს! მოკლავს ის სამსახური!... ვერც დაუშლი! რომ დაუშალო სად უნდა წავიდეს! ჭამა ხომ გვინდა! ვის რა ჭირად უნდა ახლა, ჭკვიანი და პატიოსანი კაცი!... მე კი ვეუბნები, რამე ეცადე მეთქი! სინჯე მეთქი! ვიცი, არაფერი არ გამოუვა! მაგრამ!... ხომ უნდა ეცადო მაინც!... ვიღაც-ვიღაცებს ხომ გამოსდის რა ღაც-რაღაცები?

სიძე. დღეს ყველაზე მეტ პატივში საქმის გამფუჭებლები არიან!... გამკეთებლები ცალ წიხლზე კიდიათ!

დედა. (გაღიზიანებული) გაჩერდი, ერთი!... ეგ რომ მასე იყოს, არც მე ვიქნებოდი ცოცხალი, და არც შენ!

სიძე. (დამცინავად) რაც არ უნდა ვეცადოთ ქალბატონო, ეს ცხოვრება მაინც სასაფლაოსკენ მიმავალი ბილიკია და სხვა არაფერი!

დედა. ვერ მოესწრები!... ვერა!...

გადის.

ცოლი. დრო მიდის! მიდის!... ცხოვრობ და არ იცი რისთვის! არ იცი რა იქნება ხვალ, ზეგ! რა მოგივა!... როდემდე შეიძლება გაჭირვებიდან-გაჭირვებამდე, კაპიკიდან-კა პიკამდე ცხოვრება!... ხომ ამბობენ სიყვარულს ყველაფერი შეუძლიაო?! შიმშილს, მეტი შეუძლია!

სიძე. ეეჰ, ნუ გეშინია! რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ისე ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით! მეზობლებიდან მაინც ჩამოგვივა წყალი! დედაშენს მაინც დარჩება ჩაიდანი გამოურთავი!... შენი ძმა თავის ცოლს მაინც დაელაპარეკება ძილში!... მე მაინც ვერ ვიშოვი ნორმალურ სამსახურს. *(კბილებს კრეჭს; სახით ცდილობს სიცილის იმიტაცია გააკეთოს)*

ცოლი. რას აკეთებ?

სიძე. აღსასრული არ დადგება, თუკი ჩვენ ხშირ-ხშირად გავიცინებთ! (დემონსტრატიულად იცინის) ჰა-ჰა-ჰა!

შემოდის ძმა.

ძმა. რაზე იცინი?

სიძე. ისე უბრალოდ!

ძმა. არაფერი გაგიგია?

ცოლი. რაზე ამბობ?

ძმა. არა, თითქოს ვიღაცის ხმა გავიგონე!

სიძე და ცოლი გადახედავენ ერთმანეთს. ძმა ამას ამჩნევს.

ძმა. ალბათ მომეჩვენა! (იცინის) ესეც ჩემი პატარა ილუზიაა! (შეხედავს ტელევიზორს) ჯერ არ დაწყებულა?

ცოლი. არა!

ძმა. ესე იგი არ დაწყებულა! გააგრძელეთ! გააგრძელეთ!

გადის.

ცოლი. ხანდახან ისე იქცევა,... მაბნევს!

სიძე. ქალი ყოველთვის მოგებული რჩება!... გინდა ცოცხალი იყო, გინდა მკვდარი!...

ცოლი. მარიამის სიკვდილის შემდეგ ძალიან გამოიცვალა! აი, დედაჩემს კი საერთოდ ვეღარ ვცნობ! რაც დრო გადის, უფრო რაღაცნაირი ხდება... თუმცა არც შენ ხარ ანგელოზი!

სიძე. დროთა განმავლობაში ადამიანი არც ცუდი ხდება და არც კარგი, ის უბრალოდ იზრდება!

შემოდის დედა. აფორიაქებულია.

დედა. (სიძეს) გეძახის!... დავლიოთო! (არასწორად იწერს პირჯვარს) ღმერთო შენი სახელის ჭირიმე!

სიძე დგება.

დედა. ძალიან გთხოვ სხვა რაღაც-რაღაცებზე დაელაპარაკე! გააცინე, ხომ იცი სიცილი უყვარს!... ანეკდოტები მოუყევი კარგი! პორნოგრაფიული თუ იქნება, მაგას რა სჯობს!

სიძე. რა ბრძანეთ?!

დედა. უუჰ! დაიწყო ისევ თავისებური!... მიდი, რომ გეუბნები და გააკეთე ის, რასაც გეუბნები! იცი შენ, მე რასაც გეუბნები!

სიძე. „ტაკ ტოჩნო! ვაშე ვსიაკო ბლაგაროდიე!“

გადის.

დედა. უჟმური!... ღმერთო ჩემო, იქნება გადმოგვხედო!... სადამდე შეიძლება დედამ დაფერფლილ შვილს უყუროს?!... სადამდე?!

ცოლი. რაო, დედა?

დედა. შენ ძმას რომ უსმინო, შეიძლება გული გაგისკდეს!... ეეჰ, შვილო!... რაღაცას მელაპარაკება. მელაპარაკება, მგონია ყველაფერი გამოსწორდა, მაგრამ უცებ ჩერდება და ამბობს: – მარიია, დედა, იტალიურად ზღვას ნიშნავსო! რა იყო, შვილო, კიდე გენატრება-მეთქი?... ისე მენატრება, დედაო, რომ მტკივაო!...

ცოლი. ეეჰ!

დედა. ეკლესიაში დაუწყია სიარული!... იმიტომაც არ ჩანს შაბათ-კვირაობით!... მეც არ ვიფიქრე, სად დადის-მეთქი!

ცოლი. ძაანაც კარგი, თუ დაიწყო!

დედა. გამაგებინე, გოგო, ჯერ ახალგაზრდა კაცია, რა დროს მაგის სიკვდილია?

ცოლი. ეკლესიასთან რა შუაშია სიკვდილი?

დედა. რაც ცოლი მოუკვდა, მერე დაიწყო სიარული და იმ შუაშია!... ამ ქვეყანაზე აღა რაა! დადის, გამოლენჩებული! მერე ეს ღამღამობით ლაპარაკი!... აღარ შემიძლია! მთელი ღამეები სიყვარულს უხსნის იმ ქალს! ასე ქმარს ცოლი უყვარდეს, პირვე ლად ვხედავ!

ცოლი. ეეჰ! ბედნიერი ყოფილა ცხონებული!

დედა. გაჩერდი ერთი, თუ ქალი ხარ!... ცუდი არ მინდა ვთქვა, მაგრამ მაგისმა ცოლმა ამ ცხოვრებიდან იმდენი აიღო, რამდენიც უნდოდა და დაუტოვა ამ საცოდავს იმდენი, რამდენიც უნდოდა!...

ცოლი. (გაღიზიანებული) დედა!

დედა. დედა ვარ მე უკვე ორმოცი წელია!

ცოლი. დე-და!

დედა. მე ჩემი შვილი უფრო მიყვარს!... იმ ქალის ხსოვნა ცოცხლად მარხავს, ვერ ხე დავ?!... თუკი ადამიანს თევზს მისცემ, ის ერთ დღეს გაძ ღება... მაგრამ თუ თევ ზის დაჭერას ასწავლი, ისწავლის დამოუკი დებლად ცხოვრებას, და უშე ნოდაც გაძლებს!... ასე გაგზარდეთ მე! (ტირილს ძლივს იკავებს) რომ მოვკვდე, რომელი თქვენგანი ჩამომყვება საფლავში!... არც სხვას უნდა ჩაჰყვე!

ცოლი უთოს მაგიდაზე დაახეთქებს.

ცოლი. დედა!... დედა!

დედა დგება და მიდის ტელევიზორთან, რთავს მას, ხმას ჩაუწევს.

დედა. არ უნდა დაიბა კაცი კუბოზე!... არა! მაშინ დაგერტყა იმისათვის დანა და და-მარხულიყავი იმასთან ერთად!...

ცოლი. (ემუდარება) დედა, იცი რა უნდა გითხრა...

დედა. გაჩუმდი ერთი წუთით! (ტელევიზორს დააკვირდება) ორმოც წუთში იწყება! (შეხედავს საათს) სულ უკან მიჩანჩალებს ეს საათი!... ხომ შეიძლებოდა დაწყება გამოგვპარვოდა!

ცოლი მიდის საათთან.

ცოლი. რამდენი წუთით არის უკან?

დედა. ათი წუთით! ათ წუთში ნახევარი სერიალი ეტევა! აქ არაფერი ვარგა! ერთადერთი რაც ამ სახლში კარგი ხდება, ეს სერიალია და ისიც კინაღამ... (იხსენებს) რაზე ვლაპარაკობდით?

ცოლი. (იხსენებს) დამავიწყდა!... სულ ამირია ტვინი ამ უთოობამ!

დედა. სუყველა გადავიღალეთ!... რაზე ვლაპარაკობდით?... (იცინის) სასწაულია, ასე რომ დაგავიწყება?!...

პაუზა.

ცოლი. გამახსენდა, იმ ცხონებულზე, მარიამზე ვლაპარაკობდით!

დედა. იმის მოსვლამდე არაფერი გვეტკინოს!... ის მომიტანე, ეს მომიტანე! ოცდაოთხი საათი გვერდიდან არ იცილებდა! ჩამოადნო კაცი...

ცოლი. პირიქით. მარიამი თვითონ აგდებდა ოთახიდან!... შევესწარი, როგორ ეჩხუბებოდა, "წადი, უშენოდაც კარგად მომხედავენო"... ჩემი ძმა თვითონ არ სცილდებოდა!

დედა. კარგი ერთი! როგორ ამბობდა, არ გახსოვს – "უნდა იცოცხლო ისე, რომ შენი მესაფლავეც კი აატიროო!"... დაგავიწყდა?

ცოლი. დედა, ნუ ურევ ერთმანეთში ყველაფერს!

დედა. ერთხელ, ვითომ ხუმრობით თქვა – "მალე მოვკვდები, ამიტომ შენი თავი სხვებს უნდა ვაჩუქოო!"

ცოლი. ყველაფერში თვითონაა დამნაშავე! თვითონ უნდა, ასე რომ იყოს და, სამწუხაროდ, ასეც არის!

დედა. (გაბრაზებული) მაქვს უფლება მძულდეს ის, ვინც ჩემს შვილებს... მაქვს უფლება ვიცავდე ჩემს ჩვილებს მთელი სისასტიკით, რანაირებიც არ უნდა იყვნენ ისინი?!

შემოდის სიძე. ნასვამია.

სიძე. (სიდედრს) ჩემო გენერალო! თქვენს ბიჭს თევზი მოუტანია და გთხოვთ, რომ თქვენივე კოწიწა თითებით შებრაწოთ და სატრაპეზოდ გაამზადოთ ეს სანუკვარი კერძი!

დედა. (ქალიშვილს) მეც მოვკვდები მალე და მერე ნახავთ!...

დედა გადის. სიძე ტახტზე ჩამოჯდება.

სიძე. ცოტა მოვიდა ხასიათზე! ნაწილი ფულიც აუღია!... გინდა, მაგარი რაღაც მოგიყვე?

ცოლი თავს უქნევს.

სიძე. გუშინ თავისთან მოუსმენია. მთვრალი პოლიციელი განაწყენებულ მძღოლს ჭკუას არიგებდა – როცა პოლიციელი გძულსო, ერთადერთი, ვინც ამის გამო იტანჯება, შენა ხარო, რადგან ნახევარმა პოლიციამ ამის შესახებ არ იცის, ხოლო იმან, ვინც ამის შესახებ იცის – ანუ "მე" – სულ ცალ წიხლზე მკიდია პირადად შენი გრძნობებიო... ამიტომ იყავი სიყვარულით სავსე ადამიანიო...

ცოლი. ეეჰ! პერანგი საყელოზე გაცვეთილა! ახალი უნდა იყიდოთ, "პოლიციელო"!

სიძე. სადა! აუ, რა კარგი პერანგი იყო!... (ცდილობს იხუმროს) ისე მაგრა იცის ტანსაცმელმა შეჩვევა!... ძალიან მომწონდა ეგ პერანგი!... ხანდახან ღამითაც მინდოდა მაგასთან ერთად დაძინება!

ცოლი. ვისთან ერთად?

სიძე დგება და ცოლთან მიდის.

სიძე. პერანგთან და შენთან ერთად!... თუ შეეჩვიე, მერე სულ რომ დაიხეს, მაინც გიჭირს გადაგდება!... (კოცნის) ძაღლივით იცის შეჩვევა!... ზოგიერთებს ჰგავს. (იცი ნის)

ასე რომ გავაკეთოთ, აი აქ, ზურგიდან ამოვაჭრათ და საყელოზე გადავაკე როთ, არ შეიძლება?

ცოლი. შეიძლება, მაგრამ რა აზრი აქვს?... (კოცნის) თუმცა, ამას ხომ მაინც კიტელის შიგნით იცვამ, ესე იგი შეიძლება!... ისე მეც მომწონდა ეს პერანგი! გადასაგდებად ძალიან მეცოდება!

შემოდის ძმა.

ძმა. ვინ გეცოდება?

ცოლი. არავინ, პერანგი!... აი აქ გაიცრიცა და... ვფიქრობდით, როგორ გადავაკეთოთ!

ძმა. ახალი უნდა ვიყიდოთ!... ათასი დოლარი მიდევს ჯიბეში და ერთი ორასი ხომ გეყოფა?

სიძე. ჯიბე არ ჩამოგეხეს მაგდენი ფულით!

ცოლი. (ძმას) ჯერ მეორე ჯიბიდან ბინძური ცხვირსახოცი ამოიღე და მომეცი! აი, შენი სუფთა და ქათქათა!

სიძე. რა დრო დადგა?... ბინძურში სუფთას აძლევენ! თანაც სიხარულით! (ძმას) გაიგე, "ს-ი-მ-ო-ნ"?

ძმა. (ხუმრობით) შენ, ბიჭო, ვის ებლატავები, გაგაკრავ შპალერივით! დაგცხრილავ საცერივით!

სიძე. ხატივით მიგაკრავ კედელზე! დაგბრიდავ, ჩემი! (ჩაეჭიდება ძმას) ლურსმანივით ჩაგასობ!

ძმა. ვისა, ბიჭო!

ცოლი. (ყვირის) მაგიდა არ დაამტვრიოთ!

შემოდის დედა. ძმა და სიძე ეჭიდავებიან ერთმანეთს.

დედა. რა ამბავია, რა ხდება! უტვინოები!

გადის. ორივე ტახტზე ეცემა. დაღლილები არიან და ღრმად სუნთქავენ.

სიძე. საინფორმაციოს მერე არ იწყება?

ცოლი. არა!... მერე რაღაც სპორტული გადაცემაა! ფერადი ტელევიზორი ხანდახან შავ-თეთრს ჯობია, არა?... ნეტა გვაყიდინა!

სიძე. ჰოო!

ძმა. მოგვცა ერთი ორასი ათასი, ჰა! რა კარგი იქნებოდა?

სიძე. ბევრი ფული ხალხს აფუჭებს! ალბათ ამიტომაა ჩვენთან ამდენი კარგი ხალხი!

ცოლი. მომეცი ეგ "ბევრი ფული"; და დანარჩენზე მერე "ვიბაასოთ"!

პაუზა

ძმა. დავიღალე!... ამ სამუშაოზე იღლები და ადამიანის ფორმასაც კარგავ!... დალევა მინდა! გიჟს ვგავარ!... დღეს შემთხვევით დავაკელი ერთ კლიენტს ფული!... არა, კი მივხვდი, რომ დავაკელი, მაგრამ არ დავუძახე!.. თვითონ გამიკვირდა რატომ, თუმცა... ორნი იყვნენ, რა!... სანამ ფულს ამოიღებდნენ, ერთმანეთს ელაპარა კე ბოდნენ, მუშტაიდში წასულიყვნენ, თუ სადმე სხვაგან! ერთმა თქვა – მუშტაიდ ში რა გვინდა! მუშტაიდში მტვერი, ბავშვები და მათხოვრები არიანო!... ალბათ ამიტომ დავაკელი!... მტვერი, ბავშვები და მათხოვრები – რა უცნაური ერთიანობაა! მერე ცოტა ხანს ცუდ გუნებაზე ვიყავი! ერთი მოხუცებული ქალი მოვიდა, ავ დექი და იმ ქალს ჩავუთვალე ის ზედმეტი ფული!... იმანაც აიღო! მივხვდი, რომ მიხვდა! მაგრამ არ დააბრუნა ზედმეტი ფული! ამის მერე უფრო "მურდალ" ხასიათზე დავდექი!... სულ ფიქრობ და ხვდები, რომ ცუდს, რაც არ უნდა ეცადო, კარგად ვერ გადააქცევ!

ცოლი. მაინც რამდენი იყო?

ძმა. რა მნიშვნელობა აქვს! ოცდაათი ვერცხლი!... გაწყობს?

პაუზა.

სიძე. რაც უფრო მეტად ვეცნობი ადამიანებს, მით უფრო მეტად მიყვარდებიან ძაღლები!... არ შეიძლება ერთი პატარა ცუგა შემოვიკედლოთ?... ძაღლს ყოველთვის ჭკვიანი თვალები აქვს!... თანაც უტყვი!

ცოლი. ეგენი სამსახურშიც გეყოფა!

სიძე. ჩემი სამსახური, გენაცვალე, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მთლად პოლიცია არ არის!... მე ვარ დაცვის დეპარტამენტში!... ეს აბსოლუტურად სხვადასხვა დონეებია!

ძმა და ცოლი იცინიან

სიძე. (აქცენტით) იცით ხომ, რაზე ავვარდები ხოლმე და იყენებთ ამას ბოროტად!... კარგით!... წავალ დედასა და თევზს დავხედავ და... მოგელანდებით!

სიძე გადის.

ცოლი. (ძმას) მოდი, გამაჭიმინე ეს ფარდა და მორჩაა!... გახსოვს, როგორ დავძვრებოდით ზეწრის ქვეშ, როცა დედა აუთოებდა!... რა ბედნიერები ვიყავით!... წლები რაც უფ რო გემატება, ბედნიერება მით უფრო პატარავდება!... ადრე რაღაც დიდი გვიხაროდა ხოლმე, ახლა კი ბედნიერებაა, უთოს ყიდვა. მტვერსასრუტი! ტელე ვიზორი! კარგი საჭმელი!

ძმა. პატარა ილუზიები!... სული პატარავდება ადამიანის ზრდის პარალელურად... ერთმა ნაცნობმა მღვდელმა მითხრა!

ცოლი. არ ვიცოდი, თუ მღვდლებსაც იცნობდი! რა ჰქვია?

ძმა. (ჩაფიქრდება) სახელი!... არ ვიცი, რა ჰქვია! რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰქვია, მთავარია რა თქვა!

ცოლი. მას, ვისაც არ ახსოვს სახელები, ეშინია საკუთარი თავის!

ძმა. ციტატა შენი ბლოკნოტიდან?!... მე ყველაზე მეტად აი ეს მომწონს: - არა აქვს მნიშვნელობა, ბევრ ქალს იცნობდი თუ ცოტას, მთავარია ის, რომ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად დაგჭრის გულში!

პაუზა.

ცოლი. ხანდახან ისე ლაპარაკობ, თითქოს იმაზე მეტხანს ცხოვრობ, ვიდრე გე კუთვ ნის!

ძმა. ყველამ ეგრე უნდა ვიცხოვროთ!

შემოდის სიძე.

სიძე. ყველაფერი მზადაა! შეგვიძლია დავიწყოთ, თავდავიწყება!... (ცოლს) ვეღარ მორჩი მაგ უთოობას? თუ უთავობას?

ცოლი. მოვრჩი, მოვრჩი!

იღებს თეთრეულს. შემოდის დედა დიდი სინით, რომელზეც თევზი და მჭადია დალაგებული. ცოლი სასწრაფოდ შლის სუფრას. სიძეს შემოაქვს ღვინო და ჭიქები. ძმა აწყობს თეფშებს.

დედა. რომ ვიძახით, გვიჭირსო!... არაფერიც არ გვიჭირს, მშვენივრად ვართ!

სიძე. თქვენ თუ კარგად ყოფნას, თვეში ორი კილო თევზის ჭამას ეძახით, მაშინ მართლაც კარგად ვყოფილვართ!

დედა. არ ვამბობ, რომ კარგად ვართ, მაგრამ არც ცუდად ვართ!

სიძე. (სარკასტულად) თქვენი "ღრმა რწმენით", ადამიანი თუ ჯანმრთელი არა ხარ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხარ ავადმყოფი?

დედა. (გაღიზიანებული) რა უნდა ამას ჩემგან, გამაგებინეთ, სანამ ჩემი მეორე

შვილიც დამიქვრივებია...

ცოლი. დე-და!...

უხერხულ სიჩუმეში სხდებიან სუფრასთან და იწყებენ ჭამას. სიძე ასხამს ღვინოს.

ძმა. დედა, მოდი შენ თქვი ერთი კარგი სადღეგრძელო!

ცოლი. ჰო, დედამ თქვას! დედამ!

სიძე. „ბალშომუ კარაბლიუ – ბალშოე პლავანიე!“

ცოლი. (მუდარით ქმარს) ვეღარ დაიღალე?!

დედა. უჰ!... სულ მუდამ დედა და დედა!... დედა და დედა!... მე რომ არ ვიყო, რა გე-შველებოდათ?!... (დაფიქრდება) „ხარაშო, ბილა ნე ბილა!“... აი გამახსენდა!... ადამიანებს არ უყვართ, როცა მათ არაადამიანებად თვლიან! (სიძეს) არც არაადამიანებს უყვართ, როცა მათ არაადამიანებად თვლიან, თუმცა არაადამიანები ადამიანებს მაინც ცინიკურად უყურებენ!... ჰოდა, ამ ჭიქით ადამიანურ სიყვარულს გაუმარჯოს!

სიძე. მშვენიერი ჩახლართული სადღეგრძელოა!... თანაც ბ-რ-ძ-ნული!... გაუმარჯოს სიყვარულს!

ქალიშვილი დედას აკოცებს.

ცოლი. ძალიან მიყვარხარ, დედა! ძალიან!

ძმა. გაუმარჯოს!... ღმერთო, გაგვიმარჯოს!

სვამენ. აგრძელებენ ჭამას. ხანდახან თუ გააპარებენ ერთმანეთისაკენ თვალს. ის უეცარი აღტკინება, რაც სუფრის დასაწყისში იყო, დამბაჩასავით გავარდა და მორჩა. ახლა ყოველ მათგანს, ცარიელი ვაზნები შერჩა ხელში და მათ დატენვას ჭამით და უხერხული ღიმილით ცდილობენ. უცებ სიძე იწყებს სიცილს.

დედა. რაზე იცინის?

ცოლი. რაზე გეცინება?... ჩემზე?

დედა. ეგ ჩემს სადღეგრძელოზე იცინის!

ძმა. არა, ის ჩემზე იცინის!.. რამე არ დაემართოს!

ცოლი. ჩემზე გეცინება! ჩემს ვარცხნილობაზე?... დილიდან ვფიქრობდი, დავივარცხნი-მეთქი და ვერაფრით მოვიცალე!... ვერაფრით!

დედა. მე დამცინის!

სიძე იცინის. ნელ-ნელა სამივე აჰყვება.

დედა. რა გიჟივით იცინის?

ცოლი. დაწყნარდი! გეყოფა!

ძმა. ჰო, კარგი ჩვენა ვართ, ჩვენ!

სიძე ნელ-ნელა წყნარდება.

სიძე. მორიგეობისას წიგნი ვიპოვნე და იქ სიცილზე მსჯელობდნენ!.. რამდენიმე კაცი ჯდება და იწყებს სიცილს! სასურველია ოთხი! იცინიან და ყველანაირი სტრესი ეხსნებათ! ერთი ორჯერ ვცადე და მშვენიერ გუნებაზე დამაყენა!

დედა. რა ვიცი, არაფერი გეტყობა და...

სიძე. მოდი ვცადოთ!

ცოლი. ვცადოთ!

დედა. სიცილი იმისთვისაა, რომ რაიმეზე იცინო, და არა იმისთვის, რომ უაზროდ ხორხოცებდე!

სიძე. იმდენი რამე გვაქვს, ქალბატონო, სასაცილო, იმდენი რამე, რომ ადამიანი შე იძლება გასკდე!

ძმა. ყველას აქვს თავისი სარკმელი, საიდანაც ცხოვრებას ვუყურებთ!

დედა. ოო! მაგარი, ძალიან მაგარი სარკმელები გვაქვს ყველას!... ოთხივე უმაღლესი განათლებით, ორი ყოფილი ასპირანტი!... ერთი – ფულს ახურდავებს! მეორე ყარაულია! (იცინის) ყაზილარი ფიშტოთი! მესამე მთელი დღეები სახლს ალაგებს! წმენდს! რეცხავს! მეოთხე კროსვორდებს ავსებს... (იცინის) მაინც ვერ დავადგინე, რომელია ის სიტყვა, რომელიც "მწკრივად მოსიარულე ადამიანებს და ცხოველებს" აღნიშნავს!... ჯოგი? ხროვა? კოლონა? უკვე მეხუთედ მხვდება კროსვორდში! ვერაფრით ამომიხსნია!...

ცოლი. (იცინის) ცოცხით ვხვეტ, მერე ტილოთი! ერთხელ დავხვეტ, მერე ტილოთიც გავწმენდ! მერე ისევ დავხვეტ!

სიძე. ამბობენ ბედნიერებას ვერ იყიდიო... აი თუ ვერ ვიყიდი! (იცინის) ბედნიერებას ორი კილო თევზის ფასი აქვს!

იცინიან. ძმა ასხამს და ოთხივე სიცილით სვამს.

ძმა. რამდენიმე კაცმა გადავწყვიტეთ ეკლესია ავაშენოთ!

დედა. დიდოსტატები!

სიძე. ხუროთმოძღვრები!

ცოლი. ღმერთო ჩემო, ყველა თავისებურად გიჟდება!

სიძე ასხამს ღვინოს. სიცილი ნელ-ნელა ცხრება.

სიძე. მაინც სად უნდა ააშენოთ!

ძმა. არ ვიცი... მაგრამ მე მგონი, პრობლემა არ იქნება! ადგილს ვიპოვით... პატარა ეკლესია უნდა იყოს, დაახლოებით "გარაჟის" ხელა!

სიძე. აშენება თუ გინდა, დიდი უნდა ააშენო!

დედა. მაგას ჯობდა ნორმალური სამსახური მოგეძებნა!

ძმა. რამხელა რწმენაც გაქვს, იმხელა ეკლესია უნდა ააშენო!

ცოლი. რამდენი კაცი აპირებთ ეკლესიის აშენებას?

ძმა. ხუთნი!...

იცინიან.

ძმა. მთავარი დაწყებაა, თორემ ხალხი აუცილებლად გამოჩნდება!

დედა. ხალხი! ეეჰ, მეტი საქმე არა გაქვთ!... ნორმალური ცხოვრება იყოს, ეკლესია არავის გაგახსენდებოდათ!... "ტოჟე მნე"!.. ყველა ახლა გახდით ეკლესიურები!

ძმა. ნორმალურ ცხოვრებას ნორმალური ხალხი სჭირდება!

დედა შეხედავს საათს.

დედა. იწყება!

დგება სუფრიდან და ტახტზე ჯდება ტელევიზორის საყურებლად.

დედა. ეკლესია!... სინათლე დაბრმავებულისთვის არასოდეს ყოფილა იმედის მომცემი!... ნორმალური ცხოვრება! (ტელევიზორზე უჩვენებს) აი, სად დაიწყება ახლა ნამ დვილი და ნორმალური ცხოვრება!... ყველა კარგად გამოიყურება... "ნი ტო ჩტო მი!"..

ცოლი. მეც მოვრჩი!... აღარც დალევა მინდა და აღარც ჭამა!

ისიც დგება და დედის გვერდით ტახტზე ჯდება.

სიძე. კარგად გამოიყურებოდე და კარგად გრძნობდე თავს, ერთი და იგივე არ არის!

ცოლი. (ტელევიზორისკენ) ესენი კარგადაც გამოიყურებიან და თავსაც კარგად გრძნობენ!

სიძე. გეგონოს!

დედა. ეჭვიც არ შეგეპაროს!

სიძე. (ძმას) მოდი ბედნიერებას გაუმაჯოს!

ძმა. გაუმარჯოს!

სიძე. ბედნიერებაა, დილით სამსახურში რომ მიდიხარ და საღამოს – სახლში!

დედა. აბა ჩვენ ყველა ბედნიერები ვყოფილვართ... საღამოს მაინც! ტელევიზორთან!

ძმა. ეეჰ! მაგას მაინც გაუმარჯოს!

სვამენ. სიძე და ძმა სიგარეტის წევით ნელ-ნელა ტახტისაკენ ინაცვლებენ. დიქტორი აცხა-დებს სერიალის დაწყების შესახებ, ან ისმის სერიალის "ქუდის" მუსიკა. ოოთხივეს სახეზე საოცრად თბილი ღიმილი უჩნდება. ისინი თითქოს ოცნებებში მიქრიან. შუქი ნელ-ნელა ქრება. რჩება მარტო ოთხი განათებული პერსონაჟის მომღიმარე სახე. ისმის მელოდია, რო-მელიც უფრო ძილისპირულს ჰგავს.

ფ ა რ დ ა